



## გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით

### სატენდერო დოკუმენტაცია

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი  
45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო  
მშენებლობის სამუშაოები

2016 წელი  
ქ. გორი

## სარჩევი

1. ტექნიკური მოთხოვნები -----	3
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები -----	4
3. დამატებითი ინფორმაცია-----	5
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი -----	6
5. დანართი N1 -----	12
6. დანართი N2 -----	13
7. დანართი N3 -----	14

1. ტექნიკური მოთხოვნები როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1.1. პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით უნდა წარმოადგინოს:

ა) რეკვიზიტები, დანართი N1-ის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი.

გ) საგარანტიო ფურცელი, დანართი N2-ის მიხედვით (ტიტულიან ფურცელზე არსებობის შემთხვევაში).

დ) სამუშაოების **დროში და თანხაში გაწერილი** გეგმა გრაფიკი, დანართი N3-ის მიხედვით.

ე) ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სპეცტექნიკის შესახებ, დანართი N4-ის მიხედვით, აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იყოს სპეცტექნიკის (როგორც საკუთარზე, ასევე იჯარით აღებული) ტექნიკური პასპორტების, ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ასლები. იჯარის შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება;

ვ) ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის (საველე მენეჯერის სამუშაო გამოცდილება) შესახებ.

ზ) ინფორმაცია ანალოგიური შესრულებული სამუშაოების შესახებ, დანართი N5-ის მიხედვით;

თ) პრეტენდენტს წინადადების დაწყების დღემდე ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში (2013 წლის 1 ნოემბრიდან) შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ **50 000 (ორმოცდაათი ათასი)** ლარის ოდენობის ანალოგიური სამუშაოები (შენობების სახურავების მოწყობა/რეაბილიტაცია), რაზეც სისტემის საშუალებით უნდა ატვირთოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება - ჩაბარების აქტ(ებ)ის ასლები, აქედან ერთი ხელშეკრულება მაინც არანაკლებ **10 000 (ათი ათასი)** ჯამური ღირებულებით, ამ ხელშეკრულების დამკვეთისგან პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკომენდაცია შესრულებული სამუშაოების შესახებ. (რეკომენდაციაში აღნიშნული უნდა იყოს: აღებული ვალდებულება დროულად იყო შესრულებული, ხარისხისა და ვადების დაცვით (მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს დადებითი რეკომენდაცია)).

**შენიშვნა: სატენდერო დოკუმენტაციის 1.1 პუნქტის ბ), დ) და ზ) ქვეპუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენლობა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“-მდე გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.**

1.2. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება;

1.3. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ან მისი ნდობით აღჭურვილი (სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე) პირის ხელმოწერითა და ბეჭდით არსებობის შემთხვევაში;

1.4. სატენდერო წინადადების ფასი:

1.4.1. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში;

1.4.2. სოფელ ხიდისთავში თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **43 048 (ორმოცდასამი ათას ორმოცდარვა)** ლარს.

1.5. ანგარიშსწორების პირობები:

1.5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

1.5.2. ანგარიშსწორება მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

1.5.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) – არ გამოიყენება.

1.5.4. დაფინანსების წყარო - 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

1.6. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობები (შესასრულებელი სამუშაოები):

1.6.1. ტექნიკური პარამეტრები, მოცულობები და ნახაზები მოცემულია დანართების სახით.

1.7. მიწოდების პირობები, ვადები:

1.7.1. სამუშაოების მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **30 (ოცდაათი)** კალენდარული დღე.

1.7.2. გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **5 (ხუთი)** კალენდარულ დღეში დაიწყოს სამუშაოები.

1.7.3. ეტაპობრივი მიღება - ჩაბარებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ფორმა #3.

1.7.4. ეტაპობრივი ანაზღაურება მოხდება გეგმა - გრაფიკში დადგენილი ეტაპების მიხედვით.

1.7.5. გეგმა - გრაფიკით დადგენილი ვადების და თანხის ათვისების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს გამოსასწორებლად განესაზღვრება გონივრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს **7 (შვიდი)** კალენდარული დღისა, გრაფიკის დარღვევისას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

1.7.6. საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების შესახებ.

1.7.7. ექსპერტიზის დასკვნის გამცემი პირი მიმწოდებლის მიერ წინასწარ, წერილობით შეთანხმებული უნდა იქნას შემსყიდველთან.

1.8. სამუშაოების შესრულების გარანტია:

1.8.1. შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში. რა პერიოდშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, დეფექტის/ნაკლის აღმოჩენიდან, გონივრულ ვადაში, არაუმეტეს 1 თვეში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მიყენებული ზიანის 1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

1.8.2. მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრისთვის შესრულებული სამუშაოს დასრულებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში დეფექტის/ნაკლის შეფასება და ნაკლებობის დადგენა მოხდება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.

1.9. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ საბოლოოდ დაფიქსირებული ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადექვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობა, კერძოდ გამარჯვებულ პრეტენდენტს მოსთხოვოს მის მიერ დაფიქსირებული საბოლოო ფასის ხარჯთაღრიცხვის საექსპერტო დასკვნა, (დასკვნა გაცემული უნდა იყოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან/და სხვა აკრედიტირებული (შესაბამისი საქმიანობის ექსპერტიზის ჩატარების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე) პირის მიერ), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას. რომელიც წარმოადგენილი უნდა იყოს არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

შენიშვნა:

ექსპერტიზისათვის განკუთვნილი დრო ჩაითვლება მიწოდების ვადაში;

2. პრეტენდენტის მიმართ დადგენილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1. იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იმის თაობაზე, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

2.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სათანადო დაწესებულებიდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება.

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

2.3. არარეზიდენტმა პირებმა პირველ პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით - ლეგალიზებული ფორმა.

2.4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

2.5. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა ხორციელდება სისტემის გამოყენებით შემსყიდველ ორგანიზაციის მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

3. დამატებითი ინფორმაცია:

3.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ გორი სტალინის გამზირი #16. საკონტაქტო პირი: სატენდერო პროცედურებთან დაკავსირებით: ალექსანდრე თარხნიშვილი 599522011. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირები: ზვიად ანესაშვილი 551404518, ტარიელ მაისურაძე 577375742.

### 3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წ.

ერთის მხრივ

გორის მუნიციპალიტეტი

(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

(შემდგომში „მიმწოდებელი“)

შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი

სამუშაოს მოკლე აღწერა

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაო შემდეგ თანხაზე:

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

#### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს

#### 2. სტანდარტები და ხარისხი

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამუშაოებზე ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს

### 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

3.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4. მიმწოდებელმა სამუშაოთა წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;

3.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოთა შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტები შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

3.6. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2 პუნქტში აღნიშნული პირები.

3.7 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

### 4. ტექნიკური პირობები

4.1 მოცულობები თან დაერთვება ხელშეკრულებას

5. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. წესებისა და ნორმების გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები

5.1 სამუშაოები უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცათი) დღეში

5.2 მიწოდების ადგილი - გორის მუნიციპალიტეტი

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოს მიღება ხორციელდება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების აქტი) და დამატებული ღირებულების ანგარიშფაქტურის გაფორმების შემდომ.

6.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი

6.3 შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.5 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა

წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების შესახებ.

7 ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით მიღება ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმებით;

7.3 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების ღირებულება რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველსა და საამისოდ შერჩეული პირის (ზედამხვედელი) მიერ დადასტურებული აქტი.

7.4 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში,

## 8. ფასები

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს

ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

## 11. სუბკონტრაქტორები

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის



გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

### 13. მხარეთა უფლება-მოვალეობები

13.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

13.2 შემსყიდველი ვალდებულია:

13.2.1 აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეული პირებთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები.

13.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

13.2.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

13.2.4 წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

13.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

13.3.1 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

13.3.2 განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა შემსყიდველის ქვეყანაში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

13.3.3 ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტებს;

14.3.4 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;

13.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

13.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

13.4.2 სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

13.4.3 სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწვევის გარეშე;

13.4.4 სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს

13.4.5 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

13.4.6 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

13.4.7 ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე.

13.5 სამუშაოების დამთავრებიდან 3 წლის განმავლობაში რაიმე წუნისა და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა რომ აღნიშნული წუნი გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას წუნი სახუთარი ხარჯებით.

13.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:

13.6.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

## 14 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 თუ მიმწოდებელი:

ა) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება დაასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

გ) შეუსრულებელი ვალდებულების ან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს მოეთხოვება ზიანის ანაზღაურება პროპორციული ოდენობის ფარგლებში მაგრამ არანაკლებ ხელშეკრულების საერთო ღირებულების 4%-ისა.

14.2. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების

მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

14.3. თუ მიმწოდებელი გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე მთლიანი ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით;

14.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს

ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

გ) თუ მიმწოდებელი ხეკშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში არ დაიწყებს სამუშაოებს.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან

15.4 მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

15.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე..

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

15.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაქეული მომსახურების ღირებულება.

## 16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარო სასაქონლო გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16.4 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

## 17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დაგა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2014 წლის ----- .

## 20. სხვა პირობები

20.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

20.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

20.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

20.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

20.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის საკონტაქტო ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

გ ა რ ა ნ ტ ი ა

(ორგანიზაციის დასახელება და საინდეტიფიკაციო კოდი) წარმოდგენილი მისი დირექტორის (სახელი, გვარი) სახით, ვიღებ ვალდებულებას რომ NAT1600\_\_\_\_\_ ტენდერის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში და ვეთანხმები სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ პირობებს.

ორგანიზაციის დასახელება \_\_\_\_\_

ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_

#	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	დღე											
1													
2													
3													
4													
5													
6													
7													
8													
9													
10													
ასათვისებელი თანხის რაოდენობა		30% - 50%				30% - 50%				არაუმეტეს 30%			

ორგანიზაციის დასახელება \_\_\_\_\_

ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_

#	ავტომანქანის მოდელი, მარკა, ტიპი	ავტომანქანის გამოშვების წელი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მომველებული)	საკუთრება: მფლობელობის ფორმა
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					

ორგანიზაციის დასახელება \_\_\_\_\_

ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_